

---

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ ჯი ეფ სი“ -ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ ჯი ეფ სი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405005060) არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

---

*სესხის განაცხადის მიღება, პერსონალურ მონაცემთა გამოყენება/დამუშავების და კონფიდენციალობის პოლიტიკა*

რედაქცია : 2018

**1. დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები:**

ა) **გამსესხებელი** – შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ ჯი ეფ სი“ (ს/ნ: 405005060 , მის: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ., №12, სადარბაზო №12, V სართული, ბ. 5-9 (VII ბლოკი), ელ. ფოსტის მის: [info@misogfc.ge](mailto:info@misogfc.ge), გამსესხებლის ვებგვერდი – <http://misogfc.ge/>;

ბ) **მსესხებელი** – ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელზეც გამსესხებელი გასცემს სესხს ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

გ) **მესაკუთრე** - პირი რომელიც, მსესხებლის მიმართ გამსესხებლის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად მის სასარგებლოდ ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

დ) **თავდები** - პირი რომელიც მსესხებლის მიმართ გამსესხებლის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად თავდებად უდგება მსესხებელს, მთელი თავისი ქონებით.

ე) **სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება/ხელშეკრულება** – გამსესხებელსა და მსესხებელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება, სარგებლიანი სესხის გადაცემასთან დაკავშირებით, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით იტვირთება მესაკუთრის უძრავი ქონება.

ვ) **სესხი** - გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის საკუთრებაში სარგებლიანად უკან დაბრუნების პირობით გადაცემული ფული.

ზ) **ხელშეკრულების დადების შეთავაზება** (მოწვევა ოფერტზე) – გამსესხებლის მიერ სესხის გაცემის ზოგადი პირობების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება, რომელიც არ წარმოშობს გამსესხებლის ვალდებულებას ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით;

თ) **სესხის განაცხადი** – გამსესხებლის მიერ საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული ფორმა, რომელიც, განთავსებულია შემდეგ მისამართზე - <http://misogfc.ge/ganatskhadi/> და რომელსაც ავსებს სესხის აღებით დაინტერესებული პირი/მსესხებელი. სესხის განაცხადის შევსებით დასტურდება მსესხებლის მიერ ამ დოკუმენტის გაცნობის და დათანხმების ფაქტი;

ი) ანკეტა - დოკუმენტი, სადაც მსესხებლისათვის წინასწარ არის გამჟღავნებული სესხის აღებასთან დაკავშირებული რისკები და ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, რომელსაც სესხის დამტკიცების შემთხვევაში, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებამდე ეცნობა და ხელს აწერს მსესხებელი.

კ) პერსონალური მონაცემი (შემდგომ - მონაცემი) - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

ლ) საკრედიტო ინფორმაცია - ფიზიკური ან/და იურიდიული პირის (მათ შორის, ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი) ინფორმაცია სესხის/კრედიტის და გარესაბალანსო ვალდებულებების (საბანკო გარანტია, აკრედიტივი და სხვა) შესახებ;

მ) არასაკრედიტო ინფორმაცია - ფიზიკური ან/და იურიდიული პირის (მათ შორის, ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი) ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ნებისმიერი ინფორმაცია და სხვა რელევანტური მონაცემი;

## 2. სესხის განაცხადი

2.1. სესხის მიღების სურვილის შემთხვევაში მსესხებელი გამსესხებლის ვებგვერდის გამოყენებით ავსებს სესხის განაცხადს, რომელშიც უნდა მიეთითოს მსესხებლის, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, სასურველი სესხის ოდენობა, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი. სესხის განაცხადის შევსებით და ველი „**ვადასტურებ, რომ გავცანი სესხის განაცხადების მიღების, პერსონალურ მონაცემთა გამოყენება/დამუშავების და კონფიდენციალობის პოლიტიკას**“ მონიშვნით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო წინამდებარე დოკუმენტს და აღნიშნული პირობები მისთვის მისაღებია. სესხის განაცხადი შესაძლებელია მსესხებელმა შეავსოს გამსესხებლის ოფისში, მატერიალური ფორმით, აღნიშნულ შემთხვევაში გამსესხებელი მსესხებელს წინასწარ გააცნობს წინამდებარე დოკუმენტს და მასზე დათანხმების შემთხვევაში მსესხებელი მასზე მოაწერს ხელს. ასევე სესხზე განაცხადი მსესხებლის მიერ შესაძლებელია დაფიქსირებული იქნეს საკონტაქტო ტელეფონის მეშვეობით გამსესხებლის საკონტაქტო ნომერზე დარეკვის გზით და მიწოდებული იქნეს ის ინფორმაცია, რაც საიტზე მოცემულ განაცხადში არის მითითებული.

2.2 სასესხო განაცხადის შევსებით/ინფორმაციის მიწოდებით მსესხებელი ადასტურებს, რომ:

ა) არის ფიზიკური პირი 20-დან 65 წლამდე;

ბ) გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, არ იმყოფება შეცდომის, თაღლითობის, ზეწოლის, მუქარისა ან ნებისმიერი სხვა მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ და არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა თუ სხვა აკრძალული მოქმედების ობიექტს გამსესხებლის ან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოვლენის შინაარსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;

გ) აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და ითვლება საქართველოს რეზიდენტად საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;

დ) გაეცნო ამ დოკუმენტის პირობებს და ეს პირობები არის მისთვის მისაღები;

ე) მის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი არის ზუსტი.

2.3. სასესხო განაცხადის შევსების ან 2.1 პუნქტში მითითებული ფორმით განაცხადის დაფიქსირების და ინფორმაციის მიწოდების შემდგომ, მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ გამსესხებელმა მსესხებლის მიერ მიწოდებული სესხის განაცხადის და შესაბამისად მიწოდებული პერსონალური მონაცემების დამუშავების (კერძოდ, პირადი მონაცემების გადამოწმება, სესხის ხელშეკრულებისათვის აუცილებელი მხარეთა ზუსტი რეკვიზიტების - სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, ელექტრონული ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ა.შ. - დადგენა, სესხის განაცხადის შეფასება დადებითი ან უარყოფითი პასუხის დასადგენად), ასევე მსესხებლის მიერ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით (ასეთის გაფორმების შემთხვევაში) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამსესხებლის მიერ თავისი

უფლების დაცვის, მსესხებლის გადახდისუნარიანობის და მსესხებლის საკრედიტო ისტორიის დადგენის, სესხის ლიმიტის დამტკიცებისა და სესხის თანხის გაცემის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, იმ ფარგლებში, რაშიც აღნიშნული აუცილებელია გამსესხებლის სამეწარმეო ინტერესების დასაცავად, ნებისმიერ დროს მოიძიოს/გადაამოწმოს მსესხებლის მიერ მითითებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის პერსონალური, საკრედიტო და არასაკრედიტო ინფორმაცია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების მონაცემთა ბაზაში, მათ შორის სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/კ: 204470740) მონაცემთა ბაზაში. გამსესხებელი ასევე უფლებამოსილია, სასესხო განაცხადის შევსების/ინფორმაციის მიწოდების შემდგომ, სესხის გაცემამდე, სესხის დამტკიცების მიზნით მოიძიოს/გადაამოწმოს მსესხებლის მიერ მითითებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი, მათ შორის პერსონალური ინფორმაცია სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და/ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. ამასთან, მსესხებელი აცნობიერებს, რომ მცდარი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა გახდეს სესხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

2.4. იდენტიფიკაციის დასრულების შემდგომ გამსესხებელი იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური პირობების მხარესთან შეთანხმების და სესხის დამტკიცების თაობაზე. სესხის დამტკიცების შემთხვევაში, მსესხებელს, მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე უგზავნის ინფორმაციას/ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს ან საკონტაქტო ტელეფონზე დაკავშირებით ატყობინებს სესხის სპეციალური პირობების შესახებ და მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დრაფტს. მსესხებელი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებამდე ეცნობა და ხელს აწერს სპეციალური ფორმის ანკეტას, სადაც მსესხებლისათვის კიდევ ერთხელ წინასწარ არის გამჟღავნებული სესხის აღებასთან დაკავშირებული რისკები და ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები. გამსესხებელი უფლებამოსილია, უარი თქვას სესხის გაცემაზე და აცნობოს ამის შესახებ მსესხებელს (ზეპირად, ან ელექტრონულ ფოსტაზე ან საკონტაქტო ტელეფონზე დაკავშირების გზით). გამსესხებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს სესხის გაცემაზე უარის მიზეზ(ებ)ი.

2.5. მსესხებელი პასუხს აგებს გამსესხებლის წინაშე ნებისმიერი ფორმით მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე და სისრულეზე, ვებგვერდზე განცხადების დარეგისტრირებისას მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე, ყველა იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მან გამსესხებელს მიაწოდა ხელშეკრულების დადებისას, დადებამდე ან დადების შემდგომ.

### **3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალობა და პერსონალური მონაცემები**

3.1. მსესხებელი თანახმაა და შესაბამისად გამსესხებელი უფლებამოსილია დაამუშავოს (შეგროვება, შენახვა, აღრიცხვა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა) მსესხებლის პერსონალური მონაცემები, მათი საკრედიტო და არასაკრედიტო ინფორმაცია, ასევე გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან მსესხებელზე ინფორმაცია. მესამე პირს შეიძლება ინფორმაცია გადაეცეს:

ა) ბიზნესის გაყიდვის შემთხვევაში ან ბიზნესის წილის გაყიდვის შემთხვევაში;

ბ) კანონის მოთხოვნის საფუძველზე;

გ) საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს და მის შესაბამის განყოფილებებს.

დ) პრობლემური სესხების ამოღების გარე პარტნიორებს;

ე) იურიდიულ მომსახურე კომპანიებს, იურისტებს, ან სხვა მესამე პირს, რომელიც სესხიდან გამომდინარე აწარმოებენ სასამართლო/საარბიტრაჟო დავას, უზრუნველყოფენ გადახდის პროცესს და განახორციელებენ ყველა აუცილებელ და შესაძლო ღონისძიებას, დავალიანების ამოღების მიზნებისათვის, რაც აგრეთვე აუცილებელია თქვენთვის მომსახურების გასაწევად.

ვ) გამსესხებლის შიდა პერსონალს, დასაქმებულებს, დირექტორებს, დამფუძნებლებს შეზღუდვის გარეშე მისთვის სათანადო მომსახურების გაწევის მიზნით, გამსესხებლის საოპერაციო საქმიანობის, სესხის დაბრუნების/ამოღების მიზნებისათვის.

ზ) კონტრაქტორ კომპანიებს, ფიზიკურ პირებს იმ მოცულობით, რაც აუცილებელი იქნება მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მისი საოპერაციო საქმიანობის სრულყოფის, მათ მიერ სესხის გაცემაზე ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების, სესხის დაბრუნების, გამსესხებლის გადახდისუნარიანობის დადგენის მიზნებისთვის.

### 3.2. ამ დოკუმენტით მსესხებელი აცხადებს უპირობო და გამოუხმობად თანხმობას, რომ:

ა) სესხის განაცხადის დამუშავების, სესხის დამტკიცების, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების, ასევე მსესხებლის მიერ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით (ასეთის გაფორმების შემთხვევაში) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების გარეშე მსესხებლის როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია, ნებისმიერ დროს გადასცეს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებს, რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების, მათ შორის კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელი/გადახდილი და გადაუხდელი სესხებისა და სხვა მიმდინარე, შესრულებული და შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან, ასევე ბაზაში არსებული ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავება კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნებისთვის. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, უფლება აქვს, მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშავოს და გადასცეს მესამე პირებს მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით. კომპანიას უფლება აქვს მსესხებლის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შემოწმების, მისთვის მომსახურების გაწევის, სესხის განაცხადის დამუშავების, შეთავაზებისა, მსესხებლის მიერ ამ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით (ასეთის გაფორმების შემთხვევაში) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, კომპანიის მიერ თავისი უფლებ(ებ)ის დაცვის, მსესხებლის საკრედიტო ისტორიის დადგენის, პირდაპირი მარკეტინგის, სესხის ლიმიტების კორექტირების და სხვა კანონიერი მიზნით, მივების რაოდენობის შეუზღუდავად მოიძიოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ისტორიის მონაცემთა ბაზაში და ასევე გადასცეს მასთან არსებული ინფორმაცია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, მათ შორის კრედიტინფო საქართველოს მსესხებლის საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების შესახებ. საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებზე გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ნებისმიერი ტიპის შემოსავლის წყაროს და მოცულობას, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის ოდენობასა და უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოებისა და სააღსრულებო წარმოების შედეგს, აგრეთვე მსესხებლის აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მონაცემთა ბაზისთვის საჭირო სხვა მონაცემებს; კომპანია უფლებამოსილია, მოიძიოს, მიიღოს, დაამუშავოს (მონაცემთა დამუშავება ასევე ხორციელდება საკრედიტო სარეიტინგო ქულისა და ინდივიდუალური შერეული სკორინგის გამოთვლის მიზნით) და გამოიყენოს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების, მათ შორის სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში არსებული მსესხებლის მონაცემები;

ბ) საკრედიტო საინფორმაციო ბიურომ გადასცეს გამსესხებლის მიერ მიწოდებული მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია იმ პირებს, რომლებთანაც საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აღნიშნული ხასიათის მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებით;

გ) გამსესხებელმა ნებისმიერ დროს მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მათ შორის პერსონალური მონაცემები, მისი (მსესხებლის) საკრედიტო ისტორია, ასევე ინფორმაცია გადახდილ თანხებზე, მიმდინარე ვალდებულებებზე, შეუსრულებელ ვალდებულებებზე, ასევე ინფორმაცია დაკავშირებული კლიენტის მიერ განხორციელებულ გადახდებთან და, ასევე, დამტკიცებულ ან უარყოფილ სასესხო განაცხადებთან გადასცეს მესამე პირებს შემდეგი მიზნებისთვის: კომპანიის საოპერაციო საქმიანობის გაუმჯობესება, კომპანიის მიერ საკრედიტო რისკების შეფასება, სესხის გაცემასთან დაკავშირებით კომპანიის მიერ ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება, სესხის დაბრუნება, კომპანიის მიერ თაღლითობის ფაქტ(ებ)ის აღმოჩენა და თავიდან აცილება, კომპანიის მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის დადგენა და მონაცემთა ანალიზი. გამსესხებელი „კომპანიას“ ინფორმაციას გადასცემს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აღნიშნული აუცილებელია ამ მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

ვ) გამსესხებელმა მსესხებლის მიერ მიწოდებული საკონტაქტო ნომრები გადასცეს სარეკლამო კომპანიებს საინფორმაციო SMS და/ან სხვა მომსახურების განხორციელების მიზნით.

ზ) გამსესხებელმა გადასცეს მსესხებლის ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია საკურიერო მომსახურების განმახორციელებელ პირს, მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის.

თ) გამსესხებელმა გადასცეს მსესხებლის ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია მის აუდიტორებს, კონსულტანტებს და მრჩეველებს საჭიროების შესაბამისად გადასცეს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად იმ პირობით.

ი) კომპანია უფლებამოსილია მომსახურების ხარისხის კონტროლისა და საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით აწარმოოს მსესხებელთან ნებისმიერი სატელეფონო კომუნიკაციის მონიტორინგი და აუდიო ჩაწერა. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული უფლებამოსილება არ არის შეზღუდული დროის რომელიმე მონაკვეთით და კომპანიას ზარის მონიტორინგისა და ჩაწერის უფლებამოსილება გააჩნია ნებისმიერ დროს, მათ შორის პირობების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

ნ) კომპანია უფლებამოსილია, მსესხებლის მიერ მიწოდებულ საკონტაქტო ნომერზე და/ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე, სიახლეების, აქციების და სხვა აქტივობების გაცნობის მიზნით, ნებისმიერ დროს გააგზავნოს სარეკლამო/მარკეტინგული შეტყობინებები. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი თქვას ამგვარი შეტყობინების მიღებაზე სმს-ის შემთხვევაში SMS OFF-ის საშუალებით, ელექტრონული ფოსტის შემთხვევაში - შეტყობინების ბოლოს მითითებული სიახლეების გამოწერის ფუნქციის გაუქმებით (unsubscribe) და კომპანიაში, კლიენტთა მომსახურების განყოფილებაში (ტელეფონის N: 032 2 19 70 19.) ზეპირი ან წერილობითი ფორმით წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.

3.3. ზემოაღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მსესხებლის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს ნებისმიერი მესამე პირს მსესხებელთან სესხის ხელშეკრულების გაფორმების, შემდგომში სესხის ამოღების და სხვა ნებისმიერი მიზნით, რაც აუცილებელი იქნება სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე კომპანიის ინტერესების დასაცავად, მიუხედავად სესხისა ხელშეკრულების მოქმედებისა თუ შეწყვეტისა.

3.4. ზემოაღნიშნული ინფორმაცია მესამე პირებს გადაეცემა იმ პირობით, რომ აღნიშნული პირები თავის მხრივ დაიცავენ ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

3.5. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, ნებისმიერი ტიპის შემოსავლის წყაროს და მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში – სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს, დოკუმენტებს - სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები და მასთან დაკავშირებით გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი და/ან ხელშეკრულება, მსესხებლების, მესაკუთრეების, თავდებების პირადობის მოწმობის ასლები.

3.6. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს მსესხებლის თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული მსესხებლის განაცხადი, რომლითაც მსესხებელი ეთანხმება წინამდებარე პირობებს.

3.7 კომპანიის მიერ მსესხებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მიზნებისთვის:

ა) მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის; ასევე მომსახურების სრულყოფის მიზნით, გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც კომპანია ახორციელებს მსესხებლის შესახებ არსებულ ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური ბიურომონაცემების ანალიზს და სხვა;

ბ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

გ) სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;



დ) უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

ე) არსებული სესხის ფარგლებში, სესხის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და სესხის სხვა ძირითადი პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტის განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის მსესხებელის საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წამოადგენს;

ვ) მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს კომპანიის მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას;

ზ) მომსახურებ(ებ)ის მიღების და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მსესხებელი კომპანიას ანიჭებს გამოუთხოვად უფლებას, მსესხებელის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე: კომპანიამ მრავალჯერადად მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, მომსახურებ(ებ)ის გაწვევისთვის აუცილებელი, მსესხებლის პერსონალური მონაცემები; კომპანიამ დადგენილი წესით, მრავალჯერადად მესამე პირებს (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებ)ს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს და სხვა) გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს და დაამუშავოს, მომსახურებ(ებ)ის გაწვევისთვის აუცილებელი, მსესხებლის ან/და მსესხებელის მიერ დასახელებული პირების (თავდები, მესაკუთრე და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა); ხელშეკრულების/საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მსესხებელის შესახებ ინფორმაცია გადასცეს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებს და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს ერთიანი ბაზის ფორმირებისთვის; გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებელის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის / ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, საკომისიოს, მოქმედების ვადას, მსესხებელის მიერ სესხთან ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, მსესხებელის მიერ სასესხო განაცხადში შეყვანილ ნებისმიერ ინფორმაციას ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

3.8 მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ კომპანიის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავდეს შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, სასესხო განაცხადის/რეგისტრაციის გაკეთებისას დაფიქსირებული IP მისამართი, კომპანიის ვებ გვერდზე რეგისტრაციის დრო, სესხის აღების და დაფარვის დრო/თარიღი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვა ინფორმაცია, რომელიც მსესხებელმა სარეგისტრაციო ან/და სასესხო განაცხადის ველში შეავსო ან დაფიქსირდა, ასევე ინფორმაცია რომელიც მსესხებელმა სხვა ფორმით მიაწოდა კომპანიას ან რომელიც კომპანიისთვის ცნობილი გახდა.

3.9 მსესხებელი ანიჭებს კომპანიას უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, კომპანიამ გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს მომსახურებ(ებ)ის გამწვევის ხელთ არსებული მსესხებლის პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია კომპანიის დაკავშირებულ პირ(ებ)ს. ამასთან, მსესხებელი უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დაკავშირებულ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით; ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და მსესხებელი არ იქნება უფლებამოსილი მომსახურებ(ებ)ის გამწვევს მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები კლიენტს მიეწოდება უშუალოდ მომსახურებ(ებ)ის გამწვევის მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან მომსახურებ(ებ)ის გამწვევის კუთვნილ (მომსახურებ(ებ)ის გამწვთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში.

### 3.10 ვიდეთვალთვალი და აუდიო ჩაწერა.

უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, კომპანიაში მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე

პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით,

### 3.11 მონაცემების განახლება.

ა) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

ბ) თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მსესხებელი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს კომპანიას მის შესახებ კომპანიაში დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა, დაბლოკვა და განადგურება.

გ) თუ მსესხებელი თვლის, რომ მსესხებელის შესახებ კომპანიაში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს კომპანიას აღნიშნულის შესახებ;

### 3.12 კონფიდენციალურობის დაცვა.

3.12.1 წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული პირები, მათ შორის მესამე პირები ვალდებულნი არიან, როგორც ხელშეკრულების/საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, რაზედაც არსებობს მსესხებლის წინასწარი თანხმობა.

კონფიდენციალობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას:

ა) რომელის კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისთვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

ბ) რომლის გამჟღავნებაც მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით და მის შესასრულებლად;

გ) რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროდან;

დ) რომელიც არის ან გახდება მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი მხარეთა შეთანხმებით/თანხმობით;

ე) მსესხებლის ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელიც მესამე პირს გადაეცემა წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე და მის შესაბამისად.

### 3.13. პერსონალური მონაცემების დამუშავების და შენახვის ვადა.

ხელშეკრულების/საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, გამსესხებელი ინახავს და ამუშავებს მსესხებლის პერსონალურ ინფორმაცია შეუზღუდავი ვადით, კანონმდებლობით, წინამდებარე დოკუმენტით და სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

3.14. მსესხებელს უფლება აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროთ სასამართლოში.

3.15. მსესხებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, კერძოდ თუ ა) რომელი მონაცემი მუშავდება; ბ) რა არის მონაცემთა დამუშავების მიზანი; გ) რა არის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები; ე) ვისზე გაიგა თქვენს შესახებ მონაცემები და მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

3.16 მსესხებელს არ აქვს უფლება უარი განაცხადოს მის მიერ გაცემულ თანხმობაზე ვინაიდან წინამდებარე დოკუმენტში მითითებული ინფორმაციის ჩვენთვის მოწოდება და დამუშავება დაკავშირებულია გამსესხებლის მიერ თქვენთვის მომსახურების გაწევასთან, ეხება თქვენ მიერ ფულად ვალდებულებების შესრულებას და აქედან გამომდინარე ურთიერთობებს.

3.17 მსესხებელი უფლებამოსილია, მისთვის სასარგებლო ინფორმაციას გაეცნოს საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე: [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე - 0322406406.